

ელიზაბეტ ბერიძე

დაბადების თარიღი: 10/05/2006
სკოლა: კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა
პროგრამა: ფსიქოლოგია
კურსი: 3
CU ელ. ფოსტა: E_BERIDZE6@CU.EDU.GE

ჩემს შესახებ:

დავასრულე ბათუმის №26 ფიზიკა-მათემატიკური სკოლა. ამჟამად ვარ ფსიქოლოგიის მესამე კურსის სტუდენტი. ფსიქოლოგიის მიმართულება იმიტომ ავირჩიე, რომ ყოველთვის მაინტერესებდა ადამიანის შინაგანი სამყარო. მიმაჩნია, რომ ეს პროფესია ჩემს პიროვნულ თვისებებსა და ინტერესებს კარგად შეესაბამება.

უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის გარდა, აქტიურად ვესწრები სხვადასხვა საჯარო ლექციასა და სასწავლო კურსს, რადგან მუდმივად ვცდილობ განვვითარდე როგორც პროფესიულად, ასევე პიროვნულად. ფსიქოლოგიის შესწავლამ დამეხმარა, უკეთ გამეგო ადამიანების ქცევები, მოტივები და მიზნები, რამაც მნიშვნელოვნად განავითარა ჩემი კომუნიკაციის უნარები და სხვადასხვა სიტუაციის უკეთ გაანალიზების შესაძლებლობა მომცა.

სწავლის პარალელურად დაინტერესებული ვარ ფიზიკური აქტივობით და ვცდილობ, სპორტი ჩემი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ვაქციო. ზოგადად, აქტიური, მიზანდასახული და ახალი შესაძლებლობებისთვის ღია ადამიანი ვარ. მიყვარს ახალი გამოცდილებების მიღება, განსაკუთრებით მეგობრებთან ერთად, რადგან მიმაჩნია, რომ ურთიერთობები და მათთან დაკავშირებული სასიამოვნო მოგონებები ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებაა.

ჩემი ჰობია სიმღერა, რომელიც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ჩემთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებდა, ასევე გაწევრიანებული ვიყავი უნივერსიტეტის ფოლკლორულ ანსამბლში. სიმღერა ჩემთვის დღემდე რჩება ემოციური განტვირთვის ერთ-ერთ საყვარელ საშუალებად.

კავკასიის უნივერსიტეტის ელჩი CAUCASUS UNIVERSITY AMBASSADOR